სსიპ სახელმწიფო
შესყიდვების
სააგენტო

21 / იანვარი / 2025 წ.

KA080177201151525

№ **190**

განკარგულება

შპს „ავანბეკის“ შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ

შემსყიდველი ორგანიზაცია: სს „საქართველოს რკინიგზა“;

ტენდერის ნომერი: NAT230017431;

შესყიდვის ობიექტი: 71200000 – არქიტექტურული და მასთან დაკავშირებული მომსახურებები;

მიმწოდებელი: შპს „ავანბეკი“ (ს/ნ: 406115207);

წერილობითი შეტყობინების საფუძველი: სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულება.

აღწერილობითი ნაწილი

1. ადმინისტრაციული წარმოების დაწყება

1.1. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში 2024 წლის 16 დეკემბერს წარმოდგენილ იქნა სს „საქართველოს რკინიგზის” 2024 წლის 16 დეკემბრის № 5/6-0187-25 წერილობითი შეტყობინება (რეგისტრაციის № 10795), რომლითაც სააგენტოს ეცნობა შპს „ავანბეკის“ (ს/ნ: 406115207) მიერ NAT230017431 ელექტრონული ტენდერის საშუალებით დადებული 2023 წლის 27 ნოემბრის № შს/23-322 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულების თაობაზე.

1.2. სააგენტომ მიმწოდებელს, სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში მის პროფილში მითითებული ელექტრონული ფოსტის მისამართის avanbekiltd2014@gmail.com მეშვეობით, 2024 წლის 19 დეკემბრის №3633 წერილით აცნობა სააგენტოში შემსყიდველი ორგანიზაციის წერილობითი შეტყობინების წარმოდგენის თაობაზე და, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სთხოვა ხსენებულ საქმეზე წერილობითი განმარტების წარმოდგენა.

1.3. მიმწოდებელმა 2024 წლის 26 დეკემბერს წარმოადგინა 2024 წლის 25 დეკემბრის განმარტება მის მიერ NAT230017431 ელექტრონული ტენდერის საშუალებით დადებული 2023 წლის 27 ნოემბრის № შს/23-322 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულების თაობაზე.

2. შემსყიდველი ორგანიზაციის პოზიცია

შემსყიდველი ორგანიზაციის წერილობითი შეტყობინების თანახმად, მიმწოდებელი არ ასრულებდა 2023 წლის 27 ნოემბრის №შს/23-322 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს.

3. მიმწოდებლის პოზიცია

3.1. მიმწოდებლის განმარტებით, 9 ბაქნის პროექტი შემსყიდველი ორგანიზაციისთვის წარდგენილ იქნა 2024 წლის 29 მაისს, 74 კალენდარული დღის დაგვიანებით, რის გამოც მას დაერიცხა პირგასამტეხლო. მიმწოდებელი თავის განმარტებაში აღნიშნავს, რომ შემსყიდველმა ორგანიზაციამ ხელშეკრულების მოქმედების ვადა გაუგრძელა 60 კალენდარული დღით, იმ პირობის გათვალისწინებით, რომ მიმწოდებელი, 60 კალენდარულ დღიან ვადაში, მისივე ხარჯით განახორციელებდა 9 ბაქნის პროექტის ექსპერტიზას (მოცულობათა უწყისის, კონსტრუქციული ნაწილის, შესაბამის კვლევითი დოკუმენტაციის და ხარჯთაღრიცხვის (ობიექტური, ლოკალური და კრებსითი)) სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში“ და წარადგენდა დასკვნას.

3.2. მიმწოდებელი ასევე აღნიშნავს, რომ სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში“ შეიტანა განცხადება დაჩქარებული წესით დასკვნის მომზადებაზე, რის საფუძველზეც საექსპერტო დაწესებულებას განცხადების განხილვა და საექსპერტო დასკვნები უნდა დაესრულებინა 2024 წლის 24 ივლისს, თუმცა 2024 წლის 19 ივლისს, საექსპერტო დაწესებულებიდან მიიღო წერილი, რომლითაც ეცნობა, რომ დადგენილ ვადებში ვერ დასრულდებოდა შესაბამისი პროცედურა. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მხარეთა შორის №2 შეთანხმებით, ხელშეკრულებაში შევიდა ცვლილება და ხელშეკრულების მოქმედების საბოლოო ვადად განისაზღვრა 2024 წლის 15 სექტემბერი.

3.3. მიმწოდებელმა 2024 წლის 4 სექტემბერს, კიდევ ერთხელ მიმართა სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ ექსპერტიზის ვადებთან დაკავშირებით, რაზეც მიიღო პასუხი, რომ ექსპერტიზის დასრულება აღნიშნულ ვადაშიც ვერ ესწრებოდა. მიმწოდებელმა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, მიმართა შემსყიდველ ორგანიზაციას ხელშეკრულების ვადის გაგრძელების თხოვნით, რაზეც შემსყიდველმა ორგანიზაციამ უარი განაცხადა.

4. სააგენტოს მიერ დადგენილი გარემოებები

4.1. 2023 წლის 27 ნოემბერს, NAT230017431 ელექტრონული ტენდერის საშუალებით, სს „საქართველოს რკინიგზასა“ და შპს „ავანბეკს“ (ს/ნ: 406115207) შორის დაიდო №შს/23-322 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც, მიმწოდებელს ხელშეკრულების გაფორმებიდან 110 კალენდარული დღის ვადაში, უნდა მოემზადებინა, სს „საქართველოს რკინიგზის“ ფილიალ „მგზავრთა გადაყვანის“ ბალანსზე რიცხული 9 ერთეული სამგზავრო ბაქნისა და მათზე განთავსებული შენობა-ნაგებობების რეკონსტრუქცია/მოწყობისათვის საჭირო სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია. ხელშეკრულების ღირებულებად განისაზღვრა 160 899,08 აშშ დოლარი, ხოლო მოქმედების ვადად – 2024 წლის 30 მაისი.

4.2. მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულების 3.5 პუნქტის თანახმად, „მომსახურების განხორციელების და საზედამხედველო ორგანოებთან შესაბამისი შეთანხმების შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას მასზედ, რომ ოფიციალური წერილობითი ფორმით, შემსყიდველს წარუდგენს შესათანხმებლად და ექსპერტიზისათვის გადასაცემად პროექტ(ებ)ს, მოცულობათა უწყისს, კონსტრუქციულ ნაწილს, შესაბამის კვლევით დოკუმენტაციას და ხარჯთაღრიცხვას (ობიექტური, ლოკალური და კრებსითი) თითო-თითო ბეჭდურ და ელ. ვერსიას (თითო ობიექტზე ცალკე საპროექტო დოკუმენტაცია). პირველადი ექსპერტიზის ხარჯები ეკისრება შემსყიდველს, ხოლო ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში ყოველი შემდგომი ესპერტიზის ხარჯებს გაიღებს მიმწოდებელი; ამასთან, პირველადი ექსპერტიზის შედეგად უარყოფითი დასკვნის გაცემის შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია განახორციელოს ექსპერტიზა იმავე აკრედიტირებულ საექსპერტო დაწესებულებაში, სადაც შემსყიდველმა განახორციელა პირველადი ექსპერტიზა.“.

4.3. მხარეთა შორის გაფორმებული 2024 წლის 30 მაისის № 1 შეთანხმებით, ხელშეკრულების 3.5 პუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: „მომსახურების განხორციელების და საზედამხედველო ორგანოებთან შესაბამისი შეთანხმების შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას მასზედ, რომ შემსყიდველს გადასცემს საკუთარი ხარჯით გაკეთებულ სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში“ ექსპერტიზის დასკვნას (მოცულობათა უწყისს, კონსტრუქციულ ნაწილს, შესაბამის კვლევით დოკუმენტაციას და ხარჯთაღრიცხვას (ობიექტური, ლოკალური და კრებსითი).“ ამასთან, ხელშეკრულების 3.8 პუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ მიერ ხარვეზების არსებობის აღმოჩენის შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია დაუყოვნებლივ დაიწყოს მუშაობა ხარვეზის აღმოსაფხვრელად და გამოასწოროს ხარვეზი (ხარვეზები) საკუთარი ხარჯებით.“ ამავე შეთანხმებით, ხელშეკრულების მოქმედების ვადად განისაზღვრა 2024 წლის 29 ივლისი.

4.4. მიმწოდებელმა 2024 წლის 28 მაისს №41/23 წერილით, შემსყიდველ ორგანიზაციას გაუგზავნა ორი ბაქნის დაკორექტირებული გეოლოგიური კვლევების ანგარიშები, სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ შენიშვნების გათვალისწინებით.

4.5. შემსყიდველ ორგანიზაციას მიმწოდებლის 2024 წლის 29 მაისის №42/23 წერილით წარედგინა 7 ბაქნის საპროექტო დოკუმენტაცია ექსპერტიზისთვის წარსადგენად.

4.6. მიმწოდებლის 2024 წლის 24 ივლისის №66/24 წერილით ირკვევა, რომ საპროექტო სამუშაოების დროს წარმოშობილი სხვადასხვა გადასაწყვეტი საკითხების გამო, სრული საპროექტო დოკუმენტაცია

ექსპერტიზას გადაეცა 2024 წლის მაისის თვეში. ვინაიდან, არსებობდა საექსპერტო დოკუმენტაციის დაგვიანების რისკი, მიმწოდებელმა ექსპერტიზის ბიუროს მიმართა დოკუმენტაციის დაჩქარებული წესით (10 დღე) განხილვის მოთხოვნის თაობაზე, რის პასუხადაც 2024 წლის 19 ივლისს სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროდან“ მიმწოდებელს ეცნობა, რომ საექსპერტო დასკვნების გაცემა შესაძლოა 10 დღეში ვერ მოსწრებულიყო. მოცემული დროისთვის მზად იყო 6 ბაქნის გეოლოგიური ანგარიშის დადებითი საექსპერტო დასკვნები. იმავე წერილით მიმწოდებელმა ითხოვა სახელშეკრულებო ვადების ცვლილება.

4.7. შპს „ავანბეკს“ სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ 2024 წლის 17 ივლისის 5004411924 წერილით ეცნობა, რომ ბიუროში დანიშნული ექსპერტიზის დიდი რაოდენობის გამო, მიმწოდებლის მიერ წარდგენილი ცხრავე ბაქნის დოკუმენტაციის სრულყოფილი ექსპერტიზა 10 სამუშაო დღეში შესაძლოა ვერ მოსწრებულიყო, თუმცა დასკვნები მომზადდებოდა ეტაპობრივად.

4.8. მხარეთა შორის გაფორმებული 2024 წლის 29 ივლისის №2 შეთანხმებით, ხელშეკრულების საბოლოო ვადად განისაზღვრა 2024 წლის 15 სექტემბერი.

4.9. მიმწოდებელმა 2024 წლის 4 სექტემბრის № 81/24 წერილით, სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს“ სთხოვა, რომ ეცნობებინა დარჩენილი დასკვნების გადაცემის სავარაუდო თარიღი, რაზეც სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიურომ“ 2024 წლის 5 სექტემბრის № 5005439424 წერილით პასუხად აცნობა, რომ ბიუროში შემოსული ექსპერტიზების დიდი რაოდენობისა და საპროექტო დოკუმენტაციის დიდი მოცულობის გამო, ექსპერტიზას დასჭირდა დაგეგმილზე დიდი დრო. ამავე წერილში აღნიშნა, რომ მოცემული დროისთვის 9 ბაქნის პროექტის კონსტრუქციული ნაწილის ექსპერტიზები იყო დასრულებული და დასკვნები უახლოეს პერიოდში მიეწოდებოდა, რაც შეეხება ბაქნების პროექტების ელექტროობას, ყველა პროექტზე ექსპერტიზა იყო დასრულების სტადიაში და მიმდინარე თვეში ყველა დასკვნა მიეწოდებოდა.

4.10. მიმწოდებლის 2024 წლის 6 სექტემბრის №83/24 წერილით ირკვევა, რომ გაჭიანურებული ექსპერტიზის გამო, იგი ვერ ასრულებდა ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს, ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში, რის გამოც შემსყიდველ ორგანიზაციას მიმართა თხოვნით, ხელშეკრულების მოქმედების ვადის გაგრძელების თაობაზე, რაზეც შემსყიდველმა ორგანიზაციამ 2024 წლის 13 სექტემბრის №4212 წერილით, მიმწოდებელს უარი განუცხადა.

4.11. მიმწოდებლის 2024 წლის 8 ოქტომბრის №66/24 წერილით ირკვევა, რომ სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს“ მოცემული დროისთვის არ ჰქონდა დასრულებული ექსპერტიზა.

4.12. მიმწოდებლის 2024 წლის 23 ოქტომბრის №92/24 წერილით ირკვევა, რომ მოცემული დროისთვის სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს“ კვლავ არ ჰქონდა დასრულებული ექსპერტიზა. ამავე წერილით, მიმწოდებელმა შემსყიდველ ორგანიზაციას შესთავაზა ხარჯთაღრიცხვის ექსპერტიზის სხვა აკრედიტირებულ ორგანიზაციაში განხორციელება.

5. შემაჯამებელი დასკვნა

საქმეში არსებული მტკიცებულებებისა და გარემოებების შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, სააგენტო მიიჩნევს, რომ შპს „ავანბეკი“ უნდა დარეგისტრირდეს შავ სიაში.

6. გამოყენებული სამართლებრივი აქტები

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესი და პირობები“.

7. სამართლებრივი შეფასება

7.1. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, სახელმწიფო შესყიდვის ნებისმიერი საშუალებით განხორციელებისას, გარდა კონსოლიდირებული ტენდერისა, პრეტენდენტის/მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველია, თუ მიმწოდებელმა ვერ შეასრულა ან არაჯეროვნად შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები. იმავდროულად, აუცილებელია, რომ ხელშეკრულების მოქმედების ვადა იყოს გასული ან ხელშეკრულება ვადაზე ადრე იყოს შეწყვეტილი.

7.2. იმავე წესის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, საქმეში არსებული გარემოების გამოკვლევის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად, სააგენტო ადგენს, არსებობს თუ არა პრეტენდენტის/ მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველი. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული გარემოებები, სააგენტო იღებს გადაწყვეტილებას პრეტენდენტის/ მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირებაზე უარის თქმის შესახებ, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ არსებობს პრეტენდენტის/მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველი, სააგენტო, ამ მუხლის შესაბამისად, იღებს გადაწყვეტილებას პრეტენდენტის/მიმწოდებლის გაფრთხილების ან შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ.

7.3. განსახილველ შემთხვევაში სააგენტო ყურადღებას ამახვილებს მიმწოდებლის განმარტებაზე და მიუთითებს, რომ მან მხარეთა შორის შეთანხმებაზე ხელმოწერით შეიბოჭა თავი, ვალდებულებები შეესრულებინა სწორედ იმგვარად, როგორც ეს გათვალისწინებული იყო შეთანხმებაში. გარდა ამისა, ასეთი სახის ვალდებულებების შესრულების ტვირთის აღებამდე, მიმწოდებელს შესაძლებლობა ჰქონდა, მოეკვლია, თუ რამდენად შეძლებდა შეთანხმებით გათვალისწინებულ მცირე ვადაში ცხრავე ბაქანზე სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროდან“ სრულყოფილი ექსპერტიზის წარდგენას და მხოლოდ ამის შემდეგ გაეფორმებინა შეთანხმება. საგულისხმოა ისიც, რომ თუკი მას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების დროულად შესრულებაში (ხელშეკრულების დადებიდან 110 დღე) ხელს უშლიდა რაიმე გარემოება, მას შესაძლებლობა ჰქონდა, დროულად მიემართა შემსყიდველი ორგანიზაციისთვის და დასაბუთებული მოთხოვნის საფუძველზე ეთხოვა სახელშეკრულებო ვადების ცვლილება, რაც, როგორც საქმეში არსებული მასალებით დგინდება, მიმწოდებელს არ განუხორციელებია. ამგვარად, მოცემული ფაქტებისა და მსჯელობის ურთიერთშეჯერების შედეგად, სააგენტო მიიჩნევს, რომ სახეზეა მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველი.

7.4. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, გაფრთხილების ან შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას, სააგენტო, საქმისთვის მნიშვნელობის მქონე გარემოებებთან ერთად, დამატებით ითვალისწინებს დარღვევის სიმძიმეს, პრეტენდენტის/მიმწოდებლის მანამდე მიღებული გაფრთხილების ან/და შავ სიაში რეგისტრაციის ფაქტ(ებ)ს.

7.5. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-7 მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ გადაწყვეტილება მიიღება იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ წარდგენილი ინფორმაცია სრულად აკმაყოფილებს ამ წესის მე-3 და მე-4 მუხლებით განსაზღვრულ მოთხოვნებს და არ არის სახეზე შავ სიაში დარეგისტრირებაზე უარის თქმის ან გაფრთხილების საფუძველი

7.6. სააგენტო მიიჩნევს, რომ შემსყიდველი ორგანიზაციის წერილობითი შეტყობინება აკმაყოფილებს ზემოხსენებული წესის მე-3 და მე-4 მუხლებით განსაზღვრულ მოთხოვნებს. ამასთან, სახეზეა მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების წინაპირობა და არ არსებობს მისი შავ სიაში დარეგისტრირებაზე უარის თქმის ან გაფრთხილების საფუძვლები, რადგან მიმწოდებელმა არაჯეროვნად შეასრულა სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები (მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტი არ გაფორმებულა). შესაბამისად, მოცემული დარღვევის გათვალისწინებით, შპს „ავანბეკი“ უნდა დარეგისტრირდეს შავ სიაში.

სარეზოლუციო ნაწილი

სააგენტომ იხელმძღვანელა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის №19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-7 მუხლის მე-6 პუნქტით და დაადგინა:

1. შპს „ავანბეკი“ (ს/ნ: 406115207) 2025 წლის 22 იანვარს დარეგისტრირდეს შავ სიაში.

2. ამ განკარგულების აღსრულება დაევალოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტს.

3. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავმჯდომარე

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ლევან რაზმაძე